ბორის ბორჩალაძე
დავითი ბორჩალაძე

ქართული ფრიფტი

საქართველოს დამსახურებული მხატვარი, პროფესორი გიორგი ერასტის ძე გორდელაძე დაიბადა 1912 წელს თბილისში. 1940 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი. მუშაობდა გრაფიკასა და ფერწერაში. ქმნიდა ილუსტრაციებსა და პლაკატებს.

გიორგი გორდელაძე ათეულობით ქართული, ლათინური და რუსული შრიფტის ავტორია, იკვლევდა ქართული დამწერლობის ისტორიას, თბილისის სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა შრიფტის ხელოვნებას გრაფიკის ფაკულტეტზე. წლების განმავლობაში, როგორც მთავარი მხატვრული რედაქტორი, ხელმძღვანელობდა წიგნის გაფორმებას გამომცემლობებში: "სახელგამი" და "ნაკადული". მის სახელთან არის დაკავშირებული მრავალი წიგნის მაღალმხატვრული გაფორმება და ილუსტრირება. გარდაიცვალა 1991 წელს.

მხატვარი დიმიტრი გორდელაძე დაიბადა 1951 წელს, 1974 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი. ავტორია გრაფიკული და ფერწერული ნაწარმოებების, შექმნილი აქვს პლაკატები, ილუსტრაციები, ლინოგრავიურები, მის მიერ გაფორმებულია ლიტერატურული ნაწარმოებები, საბავშვო წიგნები. ნაყოფიერად მუშაობს ქართულ შრიფტზე. მხატვართა კავშირის წევრია, მონაწილეობა აქვს მიღებული სამხატვრო გამოფენებში.

ბ.ბერაძეულაძე

ლ.ბერაძეულაძე

ქართული ფრიფცი

თბილისი
2009

GIORGI GORDELADZE
DIMITRI GORDELADZE

GEORGIAN TYPE
(FONTS)

რედაქტორი
დავით გორდელაძე

დიზაინი და დაკაბადონება
ვაჟა ბარამიძე

კორექტორი
თამარ ყანდაშვილი

ყველა უფლება დაცულია

© გიორგი გორდელაძე
დიმიტრი გორდელაძე
2009წ.

ISBN – 978-99940-17-92-8

გამომცემლობა «ჯისიაი»

2009წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დამწერლობის წარმოშობის ზოგადი მიმოხილვა;
2. შრიფტის აგების ძირითადი კანონზომიერებანი;
3. რიტმი;
4. პროპორცია;
5. სიმეტრია და ასიმეტრია;
6. მდგრადობა და წონასწორობა, სტატიკა
და დინამიკა;
7. ოპტიკური ილუზიები;
8. ასონიშნების ელემენტები;
9. ქიმები;
10. შრიფტის მოხაზულობა;
11. პოლიგრამები;
12. გრაფიკული ილუსტრაციები, დამწერლობები,
მხატვრული შრიფტები;
13. დამწერლობის სახეობები;
14. რიტმი, ოქროსკვეთა, პროპორციები;
15. მდგრადობა და წონასწორობა, სტატიკა
და დინამიკა;
16. ოპტიკური ილუზიები: ხაზობრივი, სივრცობრივი;
17. ასონიშნების ელემენტები, ქიმები;
18. გამოტანითი ელემენტები, პოლიგრამები;
19. ასომთავრული, ქართული უძველესი ასოხმოვანი
დამწერლობა;
20. მხედრული, ქართული თანამედროვე დამწერლობა;
21. ქართული ასომთავრული;
22. გიორგი გორდელაძე, შრიფტი “ლათინური” და რუსული
გრაფემები, 1966წ.;
23. ლათინური შრიფტი, ”ანტიკვა”, აგების პრინციპი.;
24. გიორგი გორდელაძე, ქართული სასტამბო შრიფტი
“ლიტერატურული”, 1952წ.;

25. გიორგი გორდელაძე, “თეატრი”, 1974წ.;
26. ბოლნისის ტაძრის წარწერა, V საუკუნე;
27. გიორგი გორდელაძე, “მხატვრული სააფიშო შრიფტი”, 1973წ.;
28. დიმიტრი გორდელაძე, შრიფტი “გორდელაძე”, ვარიანტი, 1979წ.;
29. გიორგი გორდელაძე, “ვეფხისტყაოსანი”, 1976წ.;
30. დიმიტრი გორდელაძე, შრიფტი “დეკორატიული”, 1984წ.;
31. გიორგი გორდელაძე, შრიფტი “ერასტი”, 1981წ.;
32. გიორგი გორდელაძე, შრიფტი “კობა”, 1971წ.;
33. გიორგი გორდელაძე, შრიფტი “თეატრალური”, 1987წ.;
34. გიორგი გორდელაძე, შრიფტი “თბილისი”, 1988წ.;
35. გიორგი გორდელაძე, შრიფტი “პროექტი”, 1976წ.;
36. გიორგი გორდელაძე, შრიფტი “რუსთაველი”, 1966წ.;
37. გიორგი გორდელაძე, შრიფტი “სატიტულო, მუქი”,1985წ.;
38. გიორგი გორდელაძე, შრიფტი “სატიტულო, ნათელი”, 1985წ.;
39. გიორგი გორდელაძე, შრიფტი “სატიტულო, ვიწრო, ნუსხური”, 1983წ.;
40. გიორგი გორდელაძე, შრიფტი “სატიტულო, ვიწრო, მთავრული”, 1983წ.;
41. გიორგი გორდელაძე, შრიფტი “თამარი”, 1981წ.;
42. გიორგი გორდელაძე, შრიფტი “სატიტულო, რეკონსტრუქცია”, 1970წ.;
43. გიორგი გორდელაძე, შრიფტი “ხარაჩო”, 1972წ.;
44.ლიტერატურა.

დამწერლობის წარმოშობის ზოგადი მიმოხილვა.

დამწერლობა კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია, რომელიც კულტურისა და ცივილიზაციის საფუძველს წარმოადგენს. მისი მეშვეობით თაობიდან თაობას გადაეცემა კაცობრიობის აზროვნების უმნიშვნელოვანესი მიგნებანი და აღმოჩენები. მსოფლიოს ხალხთა დამწერლობის ჩამოყალიბება და განვითარება დაკავშირებულია ამ ხალხების ენასა და ისტორიასთან. ძნელი სათქმელია, საზოგადოების განვითარების რა ეტაპზე წარმოიშვა აზრთა გაცვლა-გამოცვლის მოთხოვნილება და მისი პრაქტიკული საჭიროების აუცილებლობა; მაგრამ, ცხადია, რომ პირველყოფილი ადამიანების საზოგადოებრივი ცხოვრების ჩანასახშივე აუცილებელი გახდა ურთიერთგაგებისა და აზრთა გაზიარების სხვადასხვა ადვილადმისაწვდომი და გასაგები საშუალებების ძიება, რომელთა ძებნას ადამიანები შეუდგნენ უხსოვარი დროიდან, ანბანური ასოხმოვანი დამწერლობის წარმოშობამდე გაცილებით ადრე და ეს ძიებანი მოიცავდა საკმაოდ ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდს. ასეთ საშუალებებს დროთა განმავლობაში ადამიანმა მართლაც მიაგნო და შეუდგა მათ ათვისებასა და სრულყოფას. კაცობრიობის ენას პირველ ხანებში წარმოადგენდა ე. წ. მიმიკური ანუ მუნჯური ენა, რომლის გამოყენებისას ადამიანები იშველიებდნენ სახის ნაკვთების, სხეულისა და კიდურების სხვადასხვა მოძრაობას (მიმიკას და პანტომიმიკას). საზოგადოების განვითარების მომდევნო ეტაპზე აზრთა გაზიარების აღნიშნული საშუალება შეიცვალა სალაპარაკო ენით, თუმცა მუნჯური ენა უკვალოდ არ გამქრალა, მან გვიანდერძა ურთიერთობის ზოგიერთი ფორმა, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, _ ყრუ-მუნჯთა სკოლაში ცოდნას იძენენ მიმიკური ენის საშუალებით.

ხმოვანი ენის დამკვიდრების ხანაში ადამიანი გამოსცემდა ცალკეულ ბგერებს, რომლებიც საშუალებას აძლევდნენ მარტივად გამოეხატა საკუთარი პრიმიტიული ჩანაფიქრი, ეს კი ხელს უწყობდა საზოგადოების წევრთა შორის ელემენტარული ურთიერთგაგების დამყარებას. მოუწესრიგებელი ხმოვანი ენა გამართულ სალაპარაკო ენად იქცა მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანმა მოისაზრა საწარმოო იარაღის, თავდაცვისა და თავდასხმის საშუალებების გამოგონება, შეუდგა ერთობლივ შრომას. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ადამიანების გონებრივი განვითარების უფრო მაღალი საფეხურების თანდათანობით მიღწევას.

ჩასახვისა და განვითარების ასევე რთული და ხანგრძლივი გზა გაიარა დამწერლობამაც. დაწყებული შორეული წარსულიდან დღემდე, არსებობდა დამწერლობის უთვალავი ნაირსახეობანი, საუკუნეების განმავლობაში ერთი სახეობა უსასრულოდ ცვლიდა მეორეს. უნდა აღინიშნოს, რომ დამწერლობის განვითარების ისტორიაში მოხდა განსაცვიფრებელი დამთხვევა: იეროგლიფურ – იდეოგრამული დამწერლობა ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად ერთდროულად გაჩნდა ეგვიპტესა და ჩინეთში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს უჩვეულო მოვლენა წარმოშვა ამ უძველესი ხალხების მსგავსმა ყოფამ, საზოგადოებრივი განვითარების ერთმანეთთან მიახლოებულმა სტადიამ და დონემ. მონათესავე ყოფიერებამ შვა უაღრესად მსგავსი ცნობიერება, მსგავსმა ცნობიერებამ კი, თავის მხრივ, დამწერლობის ახლომდგომი ფორმები; დაისხვა საკითხია, თუ თითოეული მათგანი შემდგომში რა მიმართულებით განვითარდა.

ჩინეთში 6000 წლის წინათ აღმოცენებული იეროგლიფურ - იდეოგრამული დამწერლობა დღემდე გამოიყენება უცვლელად, უაღრესად რთული, თითქმის თავდაპირველი სახით, რაც გვაფიქრებინებს, რომ დანარჩენი კაცობრიობის განვითარებასა და განსხვავებულ კულტურათა ურთი-

ერთგავლენასა და ურთიერთკავშირებს მნიშვნელოვანწილად მოწყვეტილი, მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი ჩინეთი, საუკუნეების განმავლობაში კმაყოფილდებოდა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში საკუთარი ეროვნული ძალებით მიღწეული დამწერლობით. თუმცა, ამჟამად არსებობს მცდელობა შეიქმნას თანამედროვე წყობის ანბანური დამწერლობა, რომელსაც შენარჩუნებული ექნება იეროგლიფების გრაფიკული იერი. ჩინელებისაგან მცირე ცვლილებებით გადაღებულ იეროგლიფურ დამწერლობაში იაპონელებმა ჩართეს ინდური მარცვლოვანი დამწერლობის ზოგიერთი ელემენტი.

აღნიშნული დამწერლობა ეგვიპტეში აღმოცენდა თითქმის ოთხი ათასი წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მიუ-ხედავად იმისა, რომ ეგვიპტური იეროგლიფებისა და იდეოგრამების სახვითი მხარე უფრო სრულყოფილი იყო, ვიდრე ჩინელებისა, კაცობრიობის ასოხმოვან დამწერლობაზე გადასვლასთან ერთად, ეგვიპტეც თანდათანობით გამო-ემშვიდობა იეროგლიფურ - იდეოგრამულ დამწერლობას. იეროგლიფურმა დამწერლობამ ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში დაკარგა მნიშვნელობა და ისტორიის კუთვნილებად იქცა, ხოლო ჩინეთსა და იაპონიაში დღემდე შემორჩა.

ენათმეცნიერებასა და პალეოგრაფიაში უმთავრესად ყურადღებას ამახვილებენ დამწერლობის განვითარების ოთხ ძირითად ეტაპზე, რომლებმაც განაპირობეს თანამედროვე ასოხმოვანი დამწერლობის ჩამოყალიბება მსოფლიოში. შეიძლება ითქვას, რომ დამწერლობის თანამედროვე სახე-ობები ხარისხობრივად აყვანილია მაღალ საფეხურზე, თუმცა ცალკეული მათგანი საბოლოო სრულყოფისათვის მოითხოვს მეტ დაზუსტებასა და გამართვა – მოწესრიგებას.

დამწერლობა აზრისა და მეტყველების გადმოცემის *ხატო-ვანი საშუალებაა.* მისი ეტაპობრივი განვითარების სახეობებია: I – ***პიქტოგრაფიული დამწერლობა;*** II _ ***იეროგლიფურ-***

იდეოგრამული დამწერლობა; III – ***მარცვლოვანი დამწერ-ლობა*** **და** IV– ჩვენი თანამედროვე ***ასოხმოვანი დამწერლობა***, წმინდა ანბანური სისტემის სახით პირველად გამოყენებული ფინიკიელების მიერ ჩვენს წელთაღრიცხვამდე XII-XI საუკუნეებში.

პიქტოგრაფიულმა დამწერლობამ დიდხანს იარსება. მისი გარკვეული სახე გამომუშავდა დროთა განმავლობაში, ხოლო პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ზოგიერთმა ელემენტმა ჩვენამდეც კი მოაღწია. პიქტოგრაფიული დამწერლობა, პირველ ყოვლისა, წარმოადგენდა ცალკეული საგნებისა და ზოგჯერ ბუნების მოვლენების ჩანახატებს, ზოგჯერ კი კომპოზიციებს, რომელთაც შესწევდათ უნარი გადმოეცათ ავტორის მარტივი ჩანაფიქრი. დამწერლობა სრულდებოდა სიპ ქვაზე, ფიცრადქცეულ ხეზე, იშვიათად ტყავზე. კლდეზე, ქვის ლოდზე ნაკვეთ გეომეტრიულ ელემენტებსა და მსგავსი ხასიათის ფორმებს ეწოდათ ***პეტროგლიფები***. საღებავები მზადდებოდა ანწლის ან სხვა რომელიმე მცენარისაგან, ფუნჯის მაგიერ იყენებდნენ ბუნებაში არსებულ ნებისმიერ გამოსადეგ მასალას. პიქტოგრაფიული დამწერლობა ნახატის მეშვეობით ასახავდა მომხდარ ამბავს, ადამიანში ჩასახულ სიყვარულისა თუ სიძულვილის გრძნობას, ნადირობის სიუ-ჟეტებს. აქედან გამომდინარე, პიქტოგრაფიული წერილი-ნახატის შინაარსი დაახლოებით ყველგან და ყველასათვის თითქმის ერთი და იგივე იყო, ერთმანეთისაგან განირჩეოდა მხოლოდ გამომსახველობის ნაირსახეობით. პიქტოგრაფიული ნახატი-ნიშნების ზოგიერთი სახეობანი დღესაც არის შემორჩენილი. ნიშნები-ნახატები უსიტყვოდ, მხოლოდ გრაფიკული გამომსახველობით აწესრიგებენ ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულე ადამიანთა მოძრაობას; დახატული ისარი მიგვითითებს სასურველ მიმართულებაზე; ელვისებური ტეხილი ხაზი-ისარი მიგვანიშნებს მაღალი ძაბვის საშიშროებაზე, თავის ქალა და კიდურების ძვლების

გადაჯვარედინება კი სასიკვდილო საფრთხეზე. უდავოა, რომ პიქტოგრაფიულ ნიშნებს ხშირად ეძლევა უპირატესობა სიტყვიერ ან წერილობით განმარტებასთან შედარებით: ადვილად მსხვრევადი საგნების შემცველ ყუთს წარწერის ნაცვლად ახატია წვრილ, მაღალ ფეხზე შემდგარი ბოკალი, ან გაშლილი ქოლგა. პიქტოგრაფიული ნიშნების მნიშვნელობა იზრდება, როდესაც ასეთ ტვირთს გასავლელი აქვს გრძელი გზა და უწევს "შეხვედრა" სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებთან. ასეთი ნიშნების მიგნება და მათი სიმრავლე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საერთაშორისო საქონელბრუნვისათვის; უსაფრთხოების მანიშნებელი პიქტოგრამები _ წარმოების დარგებისა და ახალი ტექნოლოგიებისათვის; საერთაშორისო სპორტული შეჯიბ-რებებისათვის შექმნილი პიქტოგრამები დიდ სამსახურს უწევენ სპორტსმენებს, ჟურნალისტებს და სტუმრებს.

თუ დამწერლობის განვითარების მომდევნო ეტაპზე უკვე ნებისმიერს შეეძლო ხელი მოეკიდა ***კალიგრაფიისათვის*** (კალიგრაფია _ ლამაზად და გარკვევით წერა), ადრე პიქტოგრაფიული ნიშნების შემსრულებლები იყვნენ მხოლოდ ცალკეული ნიჭიერი ადამიანები _ მხატვრები. აქედან გაჩნდა მოსაზრება, რომ ხატვა წერის წინაპარია.

პიქტოგრაფიულ დამწერლობაზე აღმოცენდა შემდეგი სახის, უფრო მოწესრიგებული ***იეროგლიფურ - იდეოგრამული დამწერლობა***. ეს გაერთიანებული ორი მონათესავე დამწერ-ლობა თითქმის ერთი და იგივეა, განსხვავება მათ შორის გამოიხატება იმაში, რომ თუ იეროგლიფურ ნახატში თვალი გულისხმობს მხოლოდ თვალს, იდეოგრამულში _ გარდა თვალისა, იძენს ხედვის (მხედველობის) მნიშვნელობასაც.

იეროგლიფი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს წმინდანთა, ქურუმთა დამწერლობას. გამოიყენებოდა მონუმენტური წარ-წერებისათვის, ჩვეულებრივ იკვეთებოდა ქვაში და გამიზ-ნული იყო შორი მანძილიდან წასაკითხად.

იდეოგრამა (აზრის ჩაწერა) აგრეთვე ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს საწერ ნიშანს, რომელიც ასახავს განზოგადოებულ გაგებას, ცნებას და არა ცალკეული კონკრეტული ნივთის, ცხოველისა თუ ფრინველის იეროგლიფურ ნახატ ნიშანს.

მარცვლოვანი ისეთი დამწერლობაა, სადაც თითოეული ნიშანი წარმოადგენს სიტყვის მარცვალს, ბგერას ან ბგერათა ჯგუფს, რომელიც ერთი ამოსუნთქვით წარმოითქმება. მაგალითად: ინ-დო-ე-თი, ფერ-წე-რა, კოს-მო-სი, სამ-ყა-რო და ა.შ. უძველეს ინდურ მარცვლოვან დამწერლობას წარმოადგენს დევანაგარი, რომლითაც შესრულებულია სანსკრიტული დამწერლობითი ძეგლები. ზოგიერთი თანამედროვე ინდური ენა (მაგ. ჰინდი და სხვ.) ამჟამადაც სარგებლობს დევანაგარით.

სამივე დამწერლობამ: პიქტოგრაფიულმა, იეროგლიფურ-იდეოგრამულმა და მარცვლოვანმა, საკუთარ წიაღში ჩაისახა მომდევნო, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანილი დამწერლობის სახეობა. ამ გზით კაცობრიობამ მიაგნო ყველაზე უფრო მარტივ და ადვილად გამოსაყენებელ ***ანბანურ (ასოხმოვან) დამწერლობას,*** რომელშიც ***გრაფემები*** (გრაფიკული ნიშნები) წარმოადგენენ ***ფონემების*** (ცალკეული ბგერები) განსახიერებას.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით XII-XI საუკუნეებში შექმნილი პირველი ანბანი ფართოდ გავრცელდა ფინიკიელების მიერ, რის გამოც შეერქვა მათი სახელი. იგი მსოფლიოს სხვადასხვა, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნების ანბანების უმეტესი ნაწილის პირველწყარო გახდა. დასავლეთის განშტოებას საფუძვლად დაედო ფინიკიურისაგან წარმოშობილი ბერძნული ანბანი, ხოლო აღმოსავლეთის განშტოება წარმოიშვა არამეულისაგან, რომელიც, თავის მხრივ, ასევე ფინიკიურიდან გადმოღებული ანბანია.

სიტყვა ალფაბეტი წარმოადგენს ფინიკიური ანბანის პირველი ასონიშნების ნაერთს “ალფასა” და “ბეტას”. თვით ალფაბეტი, ქართულად კი “ანბანი” (ქართული ასოების “ანისა” და “ბანის” ნაერთი) წარმოადგენს ერთად აღებულ ასოების ტრადიციულად დამკვიდრებულ თანმიმდევრულ წყობას. ასოების რაოდენობა სხვადასხვა ერის ანბანში დამოკიდებულია ამ ერის ენის შემადგენლობაში არსებულ ბგერათა რაოდენობაზე, ხოლო ასოთა თანმიმდევრობის წყობა იმაზე, თუ რომელი პირველწყარო იქნა გამოყენებული საკუთარი ანბანის შესაქმნელად, რაც სხვა მონაცემებთან ერთად განსაზღვრავს მისი შექმნის უტყუარ თარიღს.

ფინიკიურ ასონიშნებს, ბგერების ასახვის გარდა, გააჩნდათ თავისი გამომსახველობითი შინაარსი, რომელთა მნიშვნელობა უმეტეს შემთხვევაში დადგენილი იქნა მეცნიერების მიერ. მიჩნეულია, რომ: ფინიკიური “ა” – ალფა (“ალეფ”) ნიშნავდა რა ხარს, _ ფინიკიელთა ღვთაებას, გრაფიკულად გამოისახა ხარის თავით (ფინიკიურ-ბერძნულ-ლათინური A); ასონიშანი “ბ” _ ბეტა (“ბეტ”) ნიშნავდა სახლს, გამოიხატებოდა სამკუთხედის სახით, რომელშიც იგულისხმებოდა კარავი, ბინა; ასო “გ” – (“გიმელი”) - ნიშნავდა აქლემს, გამოხატავდა აქლემის მოღერებულ ყელს (ფინიკიურ-ბერძნულ-რუსული “ Γ ”); ასო “კ” – (“კაფი”) ნიშნავდა ხელისგულს, გამოსახავდა ხელისგულის ნაოჭებს (ფინიკიურ-ბერძნულ-ლათინურ-რუსული”K”); ოსტატურად შესრულებული ფინიკიური ასო “ტ”- (“ტეტი”) ნიშნავს გველს და მისი გრაფიკა გამოხატავს გორგლად ქცეულ გველს.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ ფინიკიურ ასონიშნებს, გარდა თავისი ძირითადი, ბგერითი მნიშვნელობისა, გააჩნდათ რიცხობრივი მნიშვნელობაც. ალფა შეესაბამებოდა _ **1**, ბეტა _ **2**, გიმელი _ **3** და ყოველი შემდგომი ასო ყოველ შემდგომ რიცხვს, ხოლო ასო “ი” = **10**, ასო “კ” = **20**,

“ლ” = **30** და ა.შ. ასო “რ” თუ = **100**, ასო “ს” = **200,** “ტ” = **300** და ასე ანბანის დასასრულამდე.

ფინიკიურ ალფაბეტში იმთავითვე იყო 22 ასონიშანი. მასზე აღმოცენებული ბერძნული ანბანი (ძვ. წელთაღრიცხვის X-IX საუკუნეები) შედგებოდა 24 ასონიშნისაგან. დაახლოებით ორი საუკუნის შემდეგ ბერძნული ანბანი გამოყენებულ იქნა ლათინური ანბანის შესაქმნელად ძველი ეტრუსკების და თვით ლათინების მიერ. გადმოღებულ 24 ასონიშანს დროთა განმავლობაში მიემატა 2 ასო და ანბანი გახდა 26 ასონიშნისაგან შემდგარი. თავის მხრივ ლათინური ანბანი დაედო საფუძვლად მთელი რიგი ერების ანბანს, იგი უცვლელად, უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში გადავიდა ინგლისსა და გერმანიაში, IX საუკუნეში _ საფრანგეთსა და ესპანეთში, XIII საუკუნეში _ ჩეხეთში, XIV საუკუნეში _ პოლონეთსა და უნგრეთში, XVI საუკუნეში _ ბალტიისპირეთში. ამერიკასა და ავსტრალიაში ლათინური ანბანი გავრცელდა ევროპელი კოლონისტების მიერ. დღეს ლათინური ანბანი სამსახურს უწევს პლანეტის თითქმის ნახევარზე მეტ მოსახლეობას.

არსებობს შეხედულება, რომ ***ქართული ანბანი*** ისევე, როგორც ბერძნულ-ლათინური, არამეული და ზოგიერთი სხვა, ფინიკიური ანბანის განშტოებაა. ქართულ ანბანს, თავის მხრივ, განშტოება არ გასჩენია. ფინიკიურიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით V საუკუნეში გადმოღებულმა ქართულმა “ასომთავრულმა” დროთა განმავლობაში რამოდენიმე სახეცვლილება განიცადა. ეს სახეცვლილებანი საფუძვლად დაედო ქართული ანბანური დამწერლობის სამ გრაფიკულ სახეობას: I – ***ასომთავრული*** (მრგლოვანი), II – ***ნუსხური*** (ნუსხა-ხუცური), შედარებით კუთხოვანი, და III – ***მხედრული,*** ისევ მრგლოვანი. ასომთავრული იგება ორ პარალელურ ხაზს შორის, ხოლო ამ ანბანის ყოველი ასოს

მოხაზულობის პროპორცია არ სცილდება კვადრატის ფარგლებს.

ქართული ასომთავრული ანბანი, გაწყობილი ფინიკიური 22 ასოს მიხედვით და შევსებული საკუთრივ ქართული ასობგერების რიგით, აგრეთვე ძველად ხმარებაში არსებული კიდევ ხუთი ასოთი (**ჴ,ჲ,Წ,Ჯ,Ჭ**), მთლიანობაში ითვლიდა 38 ასონიშანს და მათ შესატყვის 38 ბგერას. აღნიშნული ხუთი ასონიშანი ასახავდა უმთავრესად ხორხისმიერ კომბინირებულ ბგერებს, დროთა განმავლობაში გამოაკლდა ქართული ანბანის სამივე სახეობას, რადგანაც აღარ იხმარებოდა და საბოლოოდ დარჩა 33 ასონიშანი-ბგერა. დააღწია რა თავი ზედმეტ სირთულეებს, ქართული ანბანი გაიმართა, გამარტივდა და გახდა მსოფლიოში ყველაზე უფრო მოწესრიგებული ანბანი, რაც აღიარებული არის კიდეც თანამედროვე მეცნიერების მიერ. დღეს ჩვენი ანბანი მსოფლიოს ხალხთა სხვა დანარჩენ ანბანთაგან განსხვავდება იმით, რომ როგორც იწერება, ზუსტად ისევე იკითხება, ყოველგვარი ნიუანსური ხასიათის ცვლილებათა გარეშე.

ქართული ასომთავრულის გრაფიკა ჩასმულია კვადრატში. მისი, ისევე როგორც ყოველი ანბანის აგებისას, მიმართავენ დამხმარე მკრთალ უჯრედებიან ბადეს. უმრავლესი ასოების სიმაღლის სიგანესთან შეფარდება პირობითად არის 2 : 1. ***ასომთავრულში*** არის ასოები, რომლებიც მთლიანად ავსებენ კვადრატს, ნაწილი კვადრატში სამი მეოთხედით ზის, ზოგი კი კვადრატის ნახევრით კმაყოფილდება. თუ ასომთავრულის ასაგები ასოს ძირითად ფართობად პირობითად მივიჩნევთ კვადრატს 4 X 4სმ-ზე, მთელი ანბანი იქნება 4 სმ სიმაღლის, ცალკეული ასონიშნების სიგანე კი სხვადასხვა. ჩამონათვალში მოყვანილია ასომთავრულის შესაბამისი თანამედროვე ასონიშნები:

4 X 4სმ კვადრატში თავსდება შემდეგი ასოები: **ო, უ** _ *2 ასონიშანი*;

4 X 3,5სმ უჯრედში _ **დ, ვ, ზ, თ, ლ, რ, ფ, ქ, ჯ, ჰ** _ *10 ასონიშანი*;

4 X 3სმ უჯრედში – **ა, ბ, გ, მ, ც, ძ, ჭ** _ *7 ასონიშანი*;

4 X 2,5სმ უჯრედში – **პ, ჟ** _ *2 ასონიშანი*;

4 X 2სმ უჯრედში – **ე, ი, კ, ნ, ს, ტ, ღ, შ, ყ, ჩ, წ, ხ** _ *12 ასონიშანი*;

სულ *33 ასონიშანი*.

საკუთრივ ასომთავრულის მოხაზულობა წარმოდგენილია ქვემოთ.

ასოები ერთი სისქის ხაზით იგება, სწორი ვერტიკალური (ასწვრივი და დასწვრივი) ხაზები ერწყმიან რკალისებრ ხაზებს, რის გამოც ქართული ასომთავრული მიჩნეულია ***მრგლოვან ანბანად***. მისი თითქმის ყოველი ასო, აგებული ვერტიკალურ ხაზზე, ან შეხებული ქვედა ჰორიზონტალურ ხაზთან რკალისებური ელემენტის ერთი წერტილით, ტოვებს ნაკლებად მდგრად შთაბეჭდილებას. მაგრამ ეს ასოები, უკვე გაწყობილი ნებისმიერ ტექსტში, საოცრად წონასწორდება და გვიჩვენებს საკუთარი გრაფიკის უბადლო სილამაზესა და დინამიურობას. ტექსტში იგი ძაფზე ასხმულ, ძვირფასი ქვებისაგან შემდგარ მძივებს მოგვაგონებს (ბოლნისის სიონის სააღმშენებლო წარწერა და სხვ.). არსებობს XI საუკუნის ქართველი მემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ ქრისტეს დაბადებამდე III საუკუნეში, სახელდობრ, 284 წელს მეფე ფარნავაზმა ასომთავრული ანბანი სავალდებულო გახადა ყველა ქართველ ტომთათვის გამოსაყენებლად. აი, რას გვამცნობს XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი "ქართლის ცხოვრებაში" – "ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართლისა და არღა რა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული". უკანასკნელი უნდა გავიგოთ, როგორც ასომთავრულის ერთიან სახელმწიფო

სავალდებულო ანბანად გამოცხადება და ამ ანბანით წერა იმ ლიტერატურისა, რომელიც წარმოადგენდა იმდროინდელი საქართველოს სულიერ საზრდოსა და საგანძურს.

დადგენილია, რომ საქართველოში ხუთი ათასზე მეტი კულტურის მატერიალური ძეგლია, რაც ფასდაუდებელი ისტორიული ფაქტობრივი მასალაა. ცნობილია, რომ "ასომთავრული" სატიტულო, ოფიციალური მონაცემების შრიფტია, ძეგლების უმეტესი ნაწილის _ ტაძრების, ეკლესიების, მონასტრების, ციხე-კოშკების შემონახული საზედაო წარწერები მეტწილად შესრულებულია ასომთავრულით, ისევე, როგორც მათ შიდა კედლებზე მოხატული ფრესკების წარწერები. ძველი ქართული დამწერლობის სახეობათა (ასომთავრულის, ნუსხურის) შესწავლა ყოველ ქართველს მისცემდა შესაძლებლობას გასცნობოდა ჩვენი ერის ხელნაწერი წიგნების საგანძურს, რაც ხელს შეუწყობდა საკუთარი ქვეყნის მდიდარი წარსულის უკეთ გაგებას. დედანის კითხვას მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე მის სიტყვანაბრუნებ ტექსტს.

ქართული დამწერლობის მეორე სახეობა ***ნუსხა-ხუცური*** წარმოიშვა დედაანბანის – ასომთავრულისაგან და მის პარალელურად იარსება XIX საუკუნემდე, ნუსხა-ხუცურის წარმოშობა განაპირობა დამწერლობის ხალხში განვრცობამ, ჩქარი წერის შემოღების მოთხოვნილებამ. და თუ ასომთავრული სამსახურს უწევდა ძირითადად საზედაო, სასათაურო წარწერებს, ნუსხური იყო ვრცელი ტექსტის "სადამწერლობო" ანბანი – შრიფტი (ნუსხა – სია; გაკრული ხელით ნაწერი). ნუსხა-ხუცურის აღნაგობა განსხვავდება ასომთავრულისაგან. თუ ასომთავრული იგება ზუსტად ორ სწორ პარალელურ ხაზს შორის, ნუსხურის ასოთა მოხაზულობა აგების ამ ტრადიციას არღვევს, თავსდება ოთხ ჰორიზონტალურ ხაზს შორის და ხელსაყრელად აჩენს შრიფტის გამოტანით ელემენტებს.

ასომთავრულის დაფებში ნაჩვენებია, თუ როგორ გადა-იზარდა ასომთავრული მხედრულში. ეს გზა ქართულმა დამწერლობამ განვლო ასომთავრულში ნუსხურის აღმოცე-ნების მეოხებით. ნუსხური დამწერლობა ქართული ანბანის დამოუკიდებელი ნაირსახეობაა, ასომთავრულის წიაღში ჩასახულმა, თავის მხრივ შობა მხედრული დამწერლობა ისე, რომ საგრძნობლად შეუნარჩუნა ნათესაური კავშირი თვით დედაანბანთან - ასომთავრულთან. ეს პროცესი არ ყოფილა მარტივი; თუ ასომთავრულს უწოდებდნენ მრგლოვანს, ხოლო ნუსხური მიაკუთვნეს კუთხოვანს, მხედრულის ჩასახვის ტენდენციისას, როგორც ჩანს, თავიდანვე იქნა გააზრებული გამრგლოვანება. ამ მიმართულებით წარმართული ძალისხმევით მიღებულ იქნა მესამე სახის დამწერლობის ყოველმხრივ შემკული მოხაზულობა.

დღეს ქართველი ერი სარგებლობს ***მხედრული შრიფტით***, რომლის მომხიბლავი აღნაგობა, ორნამენტული სიმრგლოვანე მსოფლიოში არსებულ 14 ანბანთა შორის მას საუკეთესოთა რიგში აყენებს. ამასთანავე იგი ითვლება ადვილად საკითხავ ანბანად. ასომთავრული დამწერლობა, რომელიც თავდაპირველად გამოიყენებოდა სიპ ქვაზე მონუმენტური წარწერების შესაქმნელად და გათვალისწინებული იყო შორიდან წასაკითხად, თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე არ იცვლის სახეს. არც ნუსხურს, რომელმაც თავის მხრივ შვა მხედრული დამწერლობა, არ შეუცვლია საკუთარი სახე. მხედრული კი ქართველ ერს მოევლინა ისტორიული ოქროს ხანის გარიჟრაჟზე, როდესაც გაერთმთლიანებულ საქართველოს ესაჭიროებოდა უწახნაგო, ნათელი სახის, ადვილად საკითხავი და ასევე ადვილად საწერი ანბანი ხალხში, ანუ მხედრობაში გასავრცელებლად. არცერთ ანბანს მსოფლიოში არ ჰქვია "მხედრული". ახალი ანბანისათვის "მხედრულის" შერქმევაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია ალბათ იმან, რომ საქართველოში ყოველი,

ქალაქსა და სოფლად მცხოვრები, იმავდროულად იყო მხედარიც. ანბანს შემდგომშიც აღარ შეცვლია სახელწოდება, ერის წინაშე დამსახურების ნიშნად შეუნარჩუნდა პირვანდელი ლამაზი სახელი.

ქართული დედაანბანი, ასომთავრული შეიქმნა V საუკუნის დამლევისათვის ქრისტეს დაბადებამდე, ნუსხური ჩამოყალიბდა V_VI სს ახ. წელთაღრიცხვით, ხოლო მხედრული გამოისახა VIII საუკუნეში. ქართულ დამწერლობას სამივე ერთდროულად ემსახურა XIX საუკუნემდე. შემდეგ კი საგანგებოდ გამოეყო და გაბატონდა "მხედრული"; და ჩვენ დღეს ვსარგებლობთ დამწერლობის ამ სახეობით, წინა ორი სახის ნიმუში კი, _ ასომთავრული და ნუსხური, ვალმოხდილი თავისი წარმომშობი ერის წინაშე, იქცა ისტორიის კუთვნილებად.

მხედრულის ერთერთი ნაირსახეობის ე.წ. *აკადემიური შრიფტის* აგება ხდება ძირითად კანონზომიერებათა ყველა პირობის დაცვით. როდესაც ამ შრიფტის (იგი მთავრულია) ასონიშანი 9სმ სიმაღლისაა, ერთმაგი, ე. ი. ყველაზე ვიწრო ზომის ასონიშანი 4სმ სიგანისაა. ამ ასონიშნის ძირითადი შტრიხის სისქე უდრის ასონიშნის სიმაღლის ერთ მეცხრედს, ხოლო შემაერთებელი შტრიხის სისქე ძირითადი შტრიხის სისქის ნახევარს. ასონიშანთა სხვადასხვა ჯგუფისათვის სიმაღლისა და სიგანის შეფარდება განსხვავებულია მათი მოხაზულობის არაერთნაირი სიგანის გამო. თუმცა, როდესაც საუბარია შრიფტის სიმაღლისა და სიგანის შეფარდებაზე და აღენიშნება ამა თუ იმ მოხატულობის შრიფტის ზომა, საზომ ერთეულად მიიჩნევენ ერთმაგი ასონიშნის ზომებს, ამ შემთხვევაში 9 X 4სმ.

ყოველ ასონიშანს აქვს *თვალი (ბირთვი)* და *გამოტანითი ელემენტები ანუ კიდურები*. თუ ავიღებთ ასო **მ**-ს, მისი თვალი იქნება ქვემოთ მოხაზული ბირთვი, გამოტანითი ელემენტი ზემოთ აღმართული ხაზი მოკაუჭებული მარცხნივ.

საზომი მონაცემების გათვალისწინებით მიღებულია შემდეგი დახარისხება:

ერთმაგი ასონიშნებია: **ა, ბ, გ, ე, ვ, ზ, ი, კ, მ, ნ, პ, ჟ, ს, ქ, ყ, შ, ჩ, ძ, წ, ჭ, ხ, ჰ;** თითოეული მათგანი აგებულია სწორკუთხედში ზომით 9X4სმ, რომელიც ამ ანბანში ითვლება ძირითად ზომად.

სიგანით ***ერთმაგნახევრამდე ასონიშნებია***, რომლებიც იგება 9 X 5სმ სწორკუთხედში: **ო, ტ, უ, ფ, ც, ჯ;**

ერთმაგნახევრიანებად, რომლებიც იგება 9 X 6სმ-იან სწორკუთხედში, მიაჩნიათ **დ, თ, რ, ღ** ასონიშნები;

ერთმაგნახევრიანზე მეტი სიგანის ასონიშანია: **ლ.**

თუ მთავრული შენდება ორ ჰორიზონტალურ საკონტროლო ხაზს შორის, რომლებიც სიმაღლეში ერთიმეორისგან დაშორებულია 9სმ-ით, ნუსხური იგება ოთხ ხაზში. ამ შემთხვევაში ასომთავრულის პარალელური ხაზების ერთიმეორეში ჩადგმით იქმნება ოთხი ჰორიზონტალური ხაზი, სადაც ორ განაპირა ხაზს შორის მანძილი უნდა იყოს 14სმ. მაშინ ასონიშნის ***ბირთვისათვის*** განკუთვნილი იქნება 4სმ, ხოლო გამოტანითი ან ატანითი ***კიდურებისათვის*** 5 - 5სმ, როგორც ბირთვის ზოლის ზემოთ, ასევე ქვემოთ.

მთავრული რომ ვაქციოთ ნუსხურ შრიფტად, საჭიროა მთავრულის 7 ასონიშნის მაგიერ შეიქმნას მთავრულის მოხაზულობის იერიდან გამომდინარე, მაგრამ უკვე სხვა ზომის იგივე 7 ასონიშანი: **ა, თ, ი, ო** და **ქ, წ, ჭ.** აქ, ასონიშნები: **ა, თ, ი, ო** ნუსხურისათვის იგება 4სმ სიმაღლის, ხოლო ასონიშნები: **ქ, წ, ჭ** 14სმ სიმაღლის. ამ 7 ასონიშნის შეცვლით მთავრულის მთელი ანბანი გადაიქცევა ნუსხურ ანბანად, რომელიც ახლა უკვე განლაგდება პარალელურ ოთხხაზიანი ნახაზის სიმაღლეში (5 + 4 + 5 = 14სმ). სხვა დანარჩენი ასონიშნები შეუცვლელად გამოიყენებიან როგორც მთავრულ, ისე ნუსხურ ანბანშიც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველაზე სრულყოფილად ითვლება ისეთი დამწერლობა, რომლის ***ბგერათა (ფონემათა)***

რაოდენობა ზუსტად შეესაბამება ***ასონიშანთა (გრაფემათა)*** რაოდენობას. ამასთანავე, თუ ანბანში შემავალ ყოველ ასონიშანს მხოლოდ ერთი რომელიმე ბგერის გამოთქმის ფუნქცია აქვს დაკისრებული, ეს ნიშნავს, რომ ასეთი ანბანი (ალფაბეტი) უაღრესად მოწესრიგებულია, სადაა, ადვილად ასათვისებელი და ყოველგვარ დაბრკოლებათა გარეშე გამოსაყენებელი. ცხადია, ასეთი უპირატესობის მქონე ანბანი სრულყოფილია, თუ იგი ადვილად საკითხავიც არის. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს მხედრულის ერთერთი მნიშვნელოვანი ღირსება _ ***ადვილკითხვადობა ბირთვისა და გამოტანითი ელემენტების ჰარმონიული შეფარდების*** გამო (სატექსტო, ნუსხური შრიფტი). თუ დავუშვებთ, რომ ბირთვი ანუ თვალი უდრის 3 ერთეულს, ხოლო მისი ზედა და ქვედა კიდურები (გამოტანითი ელემენტები) _ 5 ერთეულს, ასეთი პროპორცია სტრიქონში ამ ანბანს ხდის სახიერად ლამაზსა და მოხდენილს, ნატიფი მრგლოვანი მოხაზულობა კი აძლევს წელში გამართულ და ამასთანავე აჟურულ _ ორნამენტულ გარეგნობას. რაც შეეხება მის მოწესრიგებულობასა და ადვილკითხვადობას, მოვიყვანთ ინგლისელი ენათმეცნიერის უილიამ ედუარდ დევიდ ალენის მოსაზრებას: "ქართული ენის ბგერათა სიუხვესა და მრავალფეროვნებას ქართული ანბანი სრულად და ზუსტად გამოხატავს; ყოველ ცალკეულ ბგერას ცალკეული ასონიშანი შეესაბამება, ყოველი ასონიშანი ზუსტად და მკაფიოდ გამოითქმის; ამ თვალსაზრისით მას ვერცერთი სხვა ანბანი ვერ შეედრება".

საქართველოში ფართოდ გამოიყენება ლათინური შრიფტი. მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წიგნების, პლაკატების, აფიშების, აბრების მხატვრულ გაფორმებაში. ქართულ და ინგლისურ ენებზე წარწერები მოითხოვენ ლათინური შრიფტის სხვადასხვა სახეობის აგების წესების ფლობას და დანიშნულებისამებრ გამოყენების ხერხებს. ორენოვან წარწერებს ესაჭიროება მათ აღნაგობათა შორის გრაფიკულ-

გამომსახველობითი კავშირის დამყარება, რათა დაცულ იქნას პლასტიკის ერთიანი რიტმი. ეს ამოცანა განსახორციელებლად საკმაოდ რთულია, მაგრამ აუცილებლად ანგარიშგასაწევი.

ლათინური დამწერლობა წარმოიშვა ბერძნული ანბანისაგან, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენდა ფინიკიური ანბანის თითქმის უცვლელ სახეს. თვითონ ლათინური ანბანი კი, შემდგარი ***26 ასონიშნისგან,*** საფუძვლად დაედო მთელი რიგი ერების ანბანებს ევროპაში, ამერიკასა და ავსტრალიაში. ამ ანბანის გეოგრაფია ვრცელია და სწორედ ეს ზრდის მის მნიშვნელობას კაცობრიობისათვის.

პალეოგრაფიაში, _ ძველთაძველი ხელნაწერების შესახებ მეცნიერებაში, ***მაიუსკულის*** *[ლათინური Maiusculus (კნინობითი maior) – 1.უფრო დიდი; 2.მთავრული(ასო)]* სახელწოდებით ცნობილი დამწერლობის ფორმა ახლოსაა იმდროინდელი ლათინური შრიფტის მთავრულის მოხაზულობასთან, ხოლო რაც შეეხება ***მინუსკულს*** *[ლათინური Minusculus (კნინობითი minor,minus) _ 1. უფრო პატარა, მცირე, 2.ნუსხური(ასო)]*, იგი შედგებოდა მთავრულის მსგავსი ასოებისაგან და წარმოადგენდა ნუსხურ შრიფტს. ლათინური შრიფტების განვითარების შემდგომ გზას საფუძვლად დაედო მინუსკული, VIII_IX საუკუნეებში მასში განმტკიცდა ნუსხური მოხაზულობა. ამ ალფაბეტმა, *კაროლინგების მინუსკულად* წოდებულმა, იარსება XVI საუკუნემდე.

ლათინური დამწერლობის უძველეს სახეობას მიეკუთვნება ***კაპიტალური*** *[ლათ. Capitulum (კნინ. Caput) _ 1.თავი; 2.სვეტის თავი; Capitalis _ მნიშვნელოვანი]* იგი შეიქმნა და განვითარდა რომის იმპერიის დროს. არსებობდა ორი განსხვავებული ფორმა: *მონუმენტური* _ კვადრატული, გეომეტრიულად სწორი და *რუსტიკული,* _ ტლანქი, ზუსტი მოხაზულობის გარეშე. კაპიტალური შრიფტით ამკობდნენ მონუმენტურ არქიტექტურულ ნაგებობებს, განსაკუთრებით ტრიუმფალურ თაღებს.

XI_XV საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში ვრცელდება ე.წ. ***გოთური შრიფტი.*** ეს შრიფტი იგივე მინუსკულია (ე.ი. უფრო მცირე, მომცრო), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ასოები ტეხილი და კუთხური ფორმისაა. გოთური შრიფტი სამი ნაირსახეობის იყო: 1. ***ტექსტურა*** _ ძველი დამწერლობა, ვერტიკალური რომბისებური დაბოლოებებით. 2. ***ბასტრადა*** – წვეტიანი დამწერლობა, ესეც კუთხური და ტეხილი, ყველაზე უფრო გავრცელებული გერმანიაში და 3. ***მრგვალგოთური*** – მეტნაკლებად მომრგვალებული მოხაზულობისა, საიდანაც აღმოცენდა აღორძინების ხანის ***ჰუმანისტური*** *[ლათ. Humanus _ 1.ადამიანური, 2.* (გადატ.) *განათლებული]* დამწერლობა. მან შეცვალა წინამორბედი, თუმცა გერმანიაში წმინდა გოთური დამწერლობა დარჩა ნაციონალურ სიამაყედ.

პირველი ნაბეჭდი წიგნი ევროპაში, შესრულებული მრგვალგოთური მოხაზულობის დამწერლობით, პირველად დაისტამბა გერმანიაში 1454 წელს ***იოჰან გუტენბერგის*** მიერ. ბუნებრივია, რომ წიგნის ბეჭდვის განვითარებამ მოითხოვა ახალი შრიფტები.

ჰუმანისტური შრიფტი ჩნდება XV-XVI საუკუნეებში. მისი პირველი ნიმუშები გვხვდება ფლორენციაში, ჯერ კიდევ XIV საუკუნეში. მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღო ლათინური შრიფტის მანამდე არსებულმა ყველა სახეობამ.

ჰუმანისტური შრიფტის საფუძველზე იტალიაში შექმნილ შრიფტის ახალი მოხაზულობის სახეობებს ***ანტიკვა*** *[ლათ. Antiquus, Antiqua, Antiquum _ ძველი, ძველებური]* უწოდეს ანტიკური ეპოქის დამწერლობასთან მსგავსების გამო. ეს შრიფტები შემოვიდა ხმარებაში საფრანგეთში, გერმანიაში, ნიდერლანდებსა და ინგლისში XVI საუკუნის მეორე ნახევ-რიდან.

მართებულია ლათინურთან ერთად რუსული დამწერ-ლობის აღმოცენებისა და განვითარების ისტორიის მოკლე განხილვა, რადგანაც ძირითადად ლათინური ანბანის საფუძ-

ველზე, ასონიშნების მცირეოდენი გრაფიკული ცვლილებებისა და გადაკეთების შედეგად შეიქმნა დამწერლობის არმქონე ერების ანბანები ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში. ანბანები შეიქმნა აგრეთვე იმ ერებისათვის, რომლებსაც ჰქონდათ დამწერლობა, მაგრამ არ სარგებლობდნენ ლათინური ანბანით. ძველ სლავურ დამწერლობას იცნობენ X საუკუნიდან ორი სხვადასხვა მოხაზულობის შრიფტით, რომელთაც ეწოდებოდათ ***გლაგოლიცა და კირილიცა***. ეს სახელწოდებანი უკავშირდებიან მათ ავტორებს, *ბულგარელ განმანათლებელ ბერებს, _* ***კირილესა და მეთოდეს.*** რუსულ დამწერლობას საფუძვლად დაედო *კირილიცა*. იგი შედგება ჩრდილო-აღმოსავლეთ ბიზანტიაში გავრცელებული დამწერლობის მთელი რიგი ასოებისაგან, მათ დაემატა ახალი, სუფთა სლავური ბგერების აღსანიშნავი გრაფემები, რომლებიც ბერძნულ ენაში არ არსებობდნენ. XI საუკუნის რუსული ხელნაწერები შესრულებულია კირილიცით, განსაკუთრებული ხელწერით _ ***უსტავით***, რომელიც XIV საუკუნეში შეცვალა ***პოლუუსტავმა***. ჩქარი წერის მოთხოვნილებამ იგი გადაზარდა ***სკოროპისის*** სახეობის შრიფტში, მისი უფრო მომრგვალებული მოხაზულობის სახეობიდან კი შეიქმნა ***სამოქალაქო შრიფტი***. სასულიერო წიგნების სასათაურო შრიფტი (“*რუსკაია ვიაზ*”) ერთმანეთში გადაჭდობილი და ჩახვეული ასოებით ქმნიდა ლამაზ შთაბეჭდილებას, მაგრამ ძნელად კითხვადი და პრაქტიკულად გამოუსადეგარი იყო. დამწერლობის მოწესრიგების მიზნით რეფორმატორმა ***იმპერატორმა პეტრე*** I სწავლულებთან ერთად ანბანის მოხაზულობაში და ბგერათა სტრუქტურაში შეიტანა ცვლილებანი, შედარებით გაასადავა იგი და მიუმატა “მფშვინავი” და “იოტიური” ბგერების აღმნიშვნელი ასონიშნები. ამ ანბანს ეწოდა ჯერ ***სამოქალაქო*** *(რუს. Гражданский шрифт)*, შემდეგ კი ***პეტრეს შრიფტი*** *(რუს. Петровский шрифт).*

პირველი ქართული წიგნი დაიბეჭდა ქ. რომში 1629 წელს, ხოლო პირველი ქართული წიგნი საქართველოში _ თბილისში 1709 წელს, ***მეფე ვახტანგ*** VI მიერ დაარსებულ სტამბაში. რომის შემდეგ ქართული წიგნი დაისტამბა ქ. მოსკოვში 1705 წელს, მისი გამოცემა განახორციელეს იქ მოღვაწე ქართველმა დიდებულებმა ***მეფე არჩილ*** II თაოსნობით.

დამწერლობის განვითარების ისტორიის, მისი აღმოცენებისა, განვითარებისა და სრულყოფის დიდი და ხანგრძლივი გზის ცოდნა საშუალებას აძლევს მხატვარს შემოქმედებითად გამოიყენოს წარსულის მდიდარი მემკვიდრეობა, გაითვალისწინოს, რომ ძირითადი მოთხოვნილება უპირველეს ყოვლისა არის შრიფტის ადვილად კითხვადობა, ხასიათის და მოხაზულობის შესაბამისობა სამუშაოს შინაარსთან. ბუნებრივია, რომ ერთი და იგივე შრიფტი ვერ გამოდგება წიგნის, პლაკატის, თეატრალური აფიშის ან სავაჭრო-სარეკლამო ბუკლეტის მხატვრული გაფორმებისათვის, ნებისმიერი შემთხვევა მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას. შრიფტის კომპოზიციური გადაწყვეტა უნდა ესადაგებოდეს ტექსტის შინაარსს, შესასრულებელი სამუშაოს დანიშნულებასა და ხასიათს.

შრიფტის აგების ძირითადი კანონზომიერებანი

როგორც ***ანაწყობი,*** ისე ***ნახატი შრიფტის*** აგების პრინციპი და ასონიშანთა ელემენტებიც ერთი და იგივეა. ***ანაწყობ შრიფტში*** მკაცრად იყო დაცული ტექნიკური მოთხოვნილებანი ლიტერების შესაქმნელად, რასაც სჭირდებოდა ***ნახატი, პუანსონი*** (ქანდაკი), ***მატრიცა*** (ყალიბი). ***ნახატი შრიფტი*** შეიძლება იყოს ნებისმიერი პროპორციის, მოხაზულობის, ფორმისა და ზომის. ცხადია, რომ ამ შემთხვევაშიც საჭიროა დაცული იქნას რიტმი, მდგრადობა და წონასწორობა, დინამიკა, ოპტიკური ილუზიების ანგარიშგაწევა და სხვა ფაქტორები. ყველა სავალდებულო პირობა და

კანონზომიერება ერთნაირად აუცილებელია როგორც ქართული, ასევე ლათინური შრიფტის აგების დროს, თუნდაც იმის გამო, რომ ჩვეულებრივ ორივე იგება ორი სხვადასხვა სისქის შტრიხისაგან. როგორც წესი, ***ძირითადი*** *(ვერტიკალური)* შტრიხი გაცილებით სქელია, ვიდრე ***შემა-ერთებელი*** *(ჰორიზონტალური).*

შრიფტი, პირველ რიგში, ტექსტის გამოსახვის საშუალებაა. განსხვავებული მოხაზულობის იერის გამო მის სახეობებს ეწოდებათ: ***მონუმენტური, დეკორატიული, დინამიკური, სტატიკური, ნაციონალური ელემენტების მატარებელი*** (მაგ. ქართული შრიფტი) და სხვ. შრიფტის ღირსების დასადგენად უნდა შევისწავლოთ მასში არსებული რიტმი, პროპორციები, სივრცობრივი ილუზიები, ელემენტების, ქიმების ნაირსახეობა და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თითოეული გრაფემის (ასონიშნის) ჩონჩხის აღნაგობის სისწორეს. შრიფტის ყოველგვარი ახალი ნაირსახეობის შექმნისას ასონიშნის ძირითადი თვისებები არ უნდა იკარგებოდეს გადაჭარბებული შემოქმედებითი სითამამით გამოწვეულ ფორმათა შესაძლო ფანტასტიკაში. შრიფტის აგება და მის ახალ სახეობაზე მუშაობა მოითხოვს სერიოზულ დამოკიდებულებას და შემოქმედებით სიდინჯეს. მხატვარი თავის მოღვაწეობაში შრიფტის აგებისას უნდა ეყრდნობოდეს კაცობრიობის მიერ საუკუნეთა განმავლობაში გამო-მუშავებულ ძირითად კანონზომიერებებს. შრიფტის აგების ძირითადი წესების შემუშავებაში უდიდესი დამსახურების მქონე მოღვაწეები იყვნენ: *დიურერი, ჟოფრუა, ტორი, ბოდონი, დიდო, ელზევირები, ბასკერვილი* და სხვანი. მათი მონაწილეობით შემუშავებული აგების კანონზომიერებანი სავსებით ესადაგება ქართულ ანბანს, რის გამოც ამ წესების მოყვანა შესაძლებელია ქართული და ლათინური სახვითი მაგალითებით.

რიტმი. როგორც ნახატ, ისე სასტამბო შრიფტში მთავარია რიტმის დაცვა, რომელიც იქმნება ასონიშნების ცალკეული ***ელემენტების მოხაზულობითი ნათესაური კავშირით:*** ასონიშნის ***კონტურით, ზომების შეფარდებით*** (სიმაღლე : სიგანე), ***შტრიხების სისქით*** (ძირითადის და შემაერთებლის), ***შიდა ფართობით,_ბირთვით*** ანუ ***თვალით*** და ***ერთნაირი ქიმებით*** ყველა ასონიშანში. რიტმი უნდა იქნას დაცული როგორც ყოველ ასონიშანში, ისე მათგან შემდგარ სიტყვებსა და თუ საჭიროება მოითხოვს, მთელ გვერდებშიც კი.

პროპორცია. შრიფტის პროპორციის დადგენაზე მუშაობდნენ წარსულის უდიდესი მხატვრები. საუკუნეთა მანძილზე ასონიშნებისათვის გამოსახვის გავრცელებული ფორმა უმთავრესად სწორკუთხედი იყო. თუ სიუჟეტური გამოსახულებისათვის სახვით ხელოვნებაში გამოიყენებოდა როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური სწორკუთხედი, შრიფტისათვის დადგინდა ვერტიკალური სწორკუთხედი, მისი პრაქტიკული ხელსაყრელობის გამო. ჰორიზონტალურ სწორკუთხედებში ჩახაზული ასონიშნები მოგვცემდნენ ძალიან განიერ, ძნელად წასაკითხ და არაეკონომიურ შრიფტს, დაარღვევდნენ წიგნის მიღებულ ფორმატს და გაზრდიდნენ საბეჭდი ქაღალდის ხარჯს.

შრიფტის აგებისას საუკეთესო პროპორციად ითვლება სიმაღლის და სიგანის შეფარდება _ *3 : 1* და *3 : 2*, მიუღებელია *1 : 3* და *2 : 3*, როდესაც შეფარდებაში წინა რიცხვები ეკუთვნის სიმაღლეს. პროპორციულობა შრიფტში ბევრად არის დამოკიდებული აგრეთვე ძირითადი და შემაერთებელი ხაზების სისქეზეც. დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა დონეზე იქნება დაყენებული ასონიშნის შემაერთებელი ხაზი _ ზუსტად შუაში, ზემოთ ან ქვემოთ, ან ***ოქროსკვეთის კანონის*** მიხედვით მიგნებულ შუაწელში (არა გეომეტრიულ ცენტრში, არამედ ამ რეგიონის ისეთ წერტილში, რომელიც ქმნის

თვალისათვის მისაღებ შუაწელის ილუზიას). აღორძინების პერიოდში ***ოქროსკვეთის პრინციპი*** უდიდეს როლს თამაშობდა შრიფტის ჰარმონიულობის დაცვაში.

ოქროსკვეთა არის სწორი ხაზის მონაკვეთის დაყოფა ორ არათანაბარ ნაწილად, მონაკვეთები არ არის თანატოლი და დაყოფაც ასიმეტრიულია. მაგრამ ეს უტოლობა ჰარმონიასა და წონასწორობას უფრო მეტად ქმნის, ვიდრე ყველა სხვა ნებისმიერი პროპორცია. მისი ფორმულა ასეთია: **1 : X = X : (1 _ X),** სადაც **1** ნიშნავს მთელ მონაკვეთს, ხოლო **X** მის უდიდეს ნაწილს. მიჩნეულია, რომ ასონიშნის აგებისთვის ასეთი ორი მონაკვეთით ყველაზე უფრო ჰარმონიული სწორკუთხედი მიიღება. მისი წახნაგების შეფარდება ერთიმეორესთან დაახლოებით ისეთია, როგორც 3 : 2.

სიმეტრია და ასიმეტრია. ანბანში თავისი მოხაზულობით

სიმეტრიული ასონიშნებია: **ი, ო**;

ასიმეტრიული ასონიშნებია:

მარჯვნივ გახსნილი – **დ, თ, ლ, ნ, რ, ს, ტ, ღ, ჩ, ც, წ, ხ;**

მარცხნივ გახსნილი – **ა, ბ, გ, ე, ვ, ზ, კ, მ, პ, ჟ, უ, ფ, ქ, ყ, შ, ძ, ჯ, ჭ, ჰ.**

მაშასადამე, ქართულ ანბანში ***სიმეტრიულია*** ორი, ***ასიმეტ-რიული*** მარჯვნივ გახსნილი _ თორმეტი და გახსნილი მარცხნივ – ცხრამეტი.

ლათინურ ანბანში სიმეტრიულია- **A, H, I, U, M, O, V, T, X, Y, W.**

ასიმეტრიული გახსნილი მარჯვნივ – **B, C, D, E, N, G, L, Q, R, K, F.**

ასიმეტრიული გახსნილი მარცხნივ – **J, S, Z.**

მოხაზულობის თავისებურების გამო ასონიშნის შუახაზმა შეიძლება გაიაროს სხვადასხვა დონეზე. საერთოდ კი მისი დაყენებისათვის მეტწილად მიმართავენ ასოს შიდა ფართობის

ნაწილების პროპორციული თანაფარდობის პრინციპს, რომელსაც მხატვარი ოპტიკურად აგებს.

მდგრადობა და წონასწორობა, სტატიკა და დინამიკა. სიმეტრიული ასონიშნები უფრო მდგრადია, ვიდრე ასიმეტრიული, თუმცა მდგრადობას ვხვდებით ასიმეტრიულ ასონიშნებშიც. ეს დამოკიდებულია ჰორიზონტალური, ვერტიკალური და მრგლოვანი ელემენტების პროპორციულ შერწყმაზე. თუ ამ ელემენტების ჰარმონიული შერწყმა დარღვეულია, ასონიშანი ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს წონასწორობადაკარგული უნდა წაიქცეს.

ასიმეტრიული ასონიშნების დინამიკა უფრო ადვილად მიიღწევა მოძრაობის მანიშნებელი შტრიხების დახმარებით. მათი მართებული გამოყენების შემთხვევაში შენარჩუნებულია ასოების მდგრადობა და წონასწორობა.

ოპტიკური ილუზიები. შრიფტში ხშირად გვხვდება მოვლენები, რომლებსაც ***"ოპტიკურ ილუზიებს"*** უწოდებენ. მაგალითად, წვეტიანი დაბოლოების (განსაკუთრებით ზედა ნაწილში) მქონე ასონიშნები, შედარებით დაბლები ჩანან. ასეთი ასონიშნებია – **ა, პ, კ, ს, რ, ქ, ც, ძ, ხ, ჰ** და ეს გამოწვეულია იმით, რომ ეს ასოები ერთ წერტილში ეხებიან შრიფტის აგების ზედა საკონტროლო ხაზს და მეზობელ ასონიშნებთან შედარებით უფრო დაბალის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ცხადია, რომ ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ კი ასონიშნების ძირითადი შტრიხები ზემო ნაწილში წვეტით თავდება.

ლათინურ ანბანში შრიფტის აგების ზედა და ქვედა საკონტროლო ხაზებს ერთ წერტილში ეხებიან ასოები: _ **A, C, G, O, Q, S.** გარდა ამისა გასათვალისწინებელია, რომ ასონიშანი **H** უფრო განიერი ჩანს ხოლმე, ვიდრე **N**, რადგანაც ასონიშნის შიდა ფართობში **N**-ის დახრილი შემაერთებელი

ხაზი მეტ ადგილს იჭერს, ვიდრე ჰორიზონტალური შემაერთებელი ხაზი ასონიშან **H**-ში; ამიტომ, **N**-ის ოდნავ გაგანივრებით აღწევენ თანაფარდობის ილუზიას **H**-თან.

ხაზობრივი ილუზიების გარდა ვხვდებით სივრცობრივ ილუზიებსაც. ჩვეულებრივ ჩანს, რომ შავი ლაქა დევს ქაღალდის ზედაპირზე, ზოგ შემთხვევაში კი იქმნება შთა-ბეჭდილება, თითქოს ლაქა მოთავსებულია ქაღალდის იქით, სიღრმეში, ანდა პირიქით, _ ლაქა ქაღალდის ზედაპირს ან თავის ჩარჩოს ტოვებს და წინ მოდის.

ძველდროინდელმა, განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე მდგომმა წერის "ტექნიკამ" მოგვცა ერთი და იმავე ხელსაწყოთი სხვადასხვა სისქის შტრიხის გავლების შესაძლებლობა. ეს საშუალება იყო ***ბატის ფრთა.*** ადამიანმა დაიწყო ბატის ფრთის გამოყენება საწერ ინსტრუმენტად და თანდათან სრულყო როგორც კალამი: გადაჭრა ბატის ფრთის ღერო, ჩათალა ცერად, მიღებული წვეტი კიდევ გადაჭრა, ჩაუჭრა პირი, შედეგად ბატის ფრთამ შეიძინა წერის მრავალსახიანი ხაზის გავლების უნარი და დააწესა სქელი ძირითადი ვერტიკალური და წვრილი ჰორიზონტალური შემაერთებელი შტრიხები. ამ ორი სხვადასხვა სისქის შტრიხმა შექმნა ურთიერთშორის ის ჰარმონიული შეფარდება, რომელიც განსახიერებულია ქართულ, ლათინურ და სხვა შრიფტებში. ურთიერთშეფარდება არ არის დაკანონებული, მაგრამ მიჩნეულია, რომ ოპტიკური ილუზიის გათვალისწინებით საუკეთესო პროპორციისანი არიან $2:1, 3:1, 5:1$ თანაფარდობის შტრიხებიანი ასონიშნები (ძირითადი შტრიხები შემდგარია 2, 3 და 5 ერთეულისაგან).

ასონიშნების ელემენტები. ასონიშნებს გააჩნიათ სხვადასხვა სახის ელემენტები: ***წერტილისებური*** *და* ***წვეთისებური*** (დამახასიათებელი ქართულ-ლათინურ-რუსული შრიფტები-სათვის), ***ალისებური და ხმლისებური ელემენტები*** (იქმნება

ასონიშნის შტრიხის თანდათანობით გასქელებით ან პირიქით, მოხაზულობის დაწვრილებით) და ***გამოტანითი ელემენტები*** (ზემოთ და ქვემოთ).

თუ შრიფტში მოცემულია ძირითადი და შემაერთებელი ხაზების სისქის კონტრასტი, ასონიშანთა დაბოლოებისათვის ყველაზე უფრო მართებული იქნება ***კიდურწერტილიანი ელემენტების*** გამოყენება. ***წერტილისებური*** მაგიერ ***ელემენტი*** შეიძლება იყოს ***ოვალური ან წვეთისებური.*** ზოგჯერ წერტილისებური ელემენტები გვხვდება ***წაკვეთილი*** სახით, რაც შრიფტში ქმნის რიტმის დაცვის წინაპირობას.

ალისებური ელემენტი შენდება წაგრძელებული სწორკუთხედის საშუალებით, რომელსაც თავსა და ბოლოში უკეთდება ალის მსგავსი ბეწვისებური დაბოლოებანი. ნახატის ხასიათით ამ ალისებურ ელემენტთან ახლოს დგას ***ხმლისებური ელემენტი,*** რომელსაც იყენებენ უმთავრესად ასონიშნების კიდურ, გამოტანით ელემენტად.

შტრიხის თანდათანობითი გასქელება, ე.ი. შემაერთებელი ხაზიდან თანმიმდევრულად გადასვლა ძირითადი ხაზის სისქეზე დამახასიათებელია ასონიშნების ყველა მრგლოვანი ელემენტისათვის. ცხადია, თუ შრიფტი არ არის აგებული მთლიანად ერთი სისქის ხაზისაგან.

ზემო და ქვემო გამოტანითს (ატანითსა და ჩამოტანითს) უწოდებენ იმ ელემენტებს, რომლებიც სტრიქონში ასონიშნის თვალის ზემოთ და ქვემოთ თავსდებიან. ქართული ანბანი შეიცავს ასეთი სახის მრავალ ელემენტს. ლათინურ ანბანში ***გამოტანითი ელემენტებიანი*** ასონიშნებია: **q, t, y, p, d, f, g, h, j, b**. რუსული ანბანი შეიცავს ***კუდოვანელემენტებიან*** ასონიშნებსაც: **д, ц, щ**; აქ გამოტანითი ელემენტებიანია: **б, р, у, ф,** ხოლო კურსივში (Italic) მათ ემატებათ ასონიშანი ***д***.

ქიმები. ***ქიმები,*** რომლებიც ლათინურ შრიფტში ხშირად გვხვდება, ქართულ შრიფტს არ გააჩნია, თუმცა ეს არ ნიშნავს

იმას, რომ არ შეიძლება შეიქმნას ქიმებიანი მოხაზულობის ქართული შრიფტი. ქიმები შეიძლება ძალიანაც მოუხდეს მას, მაგრამ მათ დამკვიდრებას ალბათ "ხელს უშლის" ქართული ანბანის სიმრგლოვანე. ითვლება, რომ ქიმები უხდება და ესაჭიროება კიდეც მდგრად ასონიშნებს, ხოლო თავისი უმეტესი ასონიშნებით მრგლოვან ელემენტებზე მდგარი შრიფტი კი ნაკლებად ითავსებს მათ. ქიმები ლათინურ ასონიშნებში ასრულებს ცოკოლის, პიედესტალის, საფუძვლის როლს. მაგრამ ლათინურ ასონიშნებში «ცოკოლის» ფორმა ზოგჯერ ზემო ნაწილშიც გვხვდება, ამ რეგიონში მათ დეკორატიული შემკულობის ფუნქცია ეკისრებათ.

ქართულ შრიფტში ასონიშნები **ი, თ, ო, რ, ჩ** (მდგრადი ასონიშნები) მეტნაკლებად იგუებენ ქიმებს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ერთიანი რიტმის დაცვის აუცილებლობა მოითხოვს მათ შეძლებისდაგვარად გამოყენებას სხვა დანარჩენ ასონიშნებშიც.

შრიფტის მოხაზულობა. ***ალფაბეტი, ანბანი*** – ზოგადი ცნებაა, ნიშნავს დამწერლობის გარკვეულ სისტემას, განსაზღვრული თანმიმდევრობით და წესრიგით განლაგებულ ასოთა ერთობლიობას, სადაც თითოეული ნიშანი (ასო) შეესაბამება ცალკეულ ბგერას.

ტერმინი ***"შრიფტი"*** ნიშნავს სხვადასხვა ანბანის (ქართული, ლათინური და სხვ.) ერთ რომელიმე სახეობას, რომელშიც ჩვეულებრივ, ასონიშნების ძირითადი გრაფიკული ფორმის შენარჩუნებულ ფარგლებში წარმოდგენილია დეტალების კონსტრუქციის მრავალფეროვანი ნაირსახეობა: ***მთავრული, ნუსხური, სწორი, დახრილი, ნათელი, ნახევრადმუქი, მუქი და ა.შ.,*** და აგრეთვე დართული აქვს ***პუნქტუაციისა და ციფრების*** ნიშნები; ასეთ ერთიანი ხასიათის ნახატის (მოხაზულობის) ასონიშნების სრულ კომპლექტს ეწოდება ***გარნიტური.*** მათ ხშირად უჩნდებათ საკუთარი სახელები,

არქმევენ წარსულისა და თანამედროვეობის ცნობილი ადამიანების ან ავტორების სახელს.

ძირითადად შრიფტი ორი მოხაზულობისაა – ***სწორი და დახრილი.*** სწორია შრიფტი, რომლის ძირითადი ხაზი ვერტიკალურია. ასეთი სახის შრიფტით იწყობა ლიტერატურული ნაწარმოების ძირითადი ტექსტი. ***დახრილი შრიფტი*** განსხვავდება იმით, რომ გადახრილია მარჯვნივ 15 გრადუსით. მაგრამ მას არ გააჩნია პრეტენზია დაემსგავსოს ხელნაწერ შრიფტს, იგი ***სწორის*** გადახრილი სახეობაა.

არსებობს შრიფტის სახეობა, რომელსაც უწოდებენ ***კურსივს*** **/Italic/.** მისი ძირითადი ხაზები დახრილია, მაგრამ გამოირჩევა ***სწორი*** და ***დახრილი*** შრიფტებისაგან თავისი ***ხვეულ - ორნამენტური ფორმით.*** მთავარი დამახასიათებელი კი ის არის, რომ მოგვაგონებს ზედმიწევნით მოწესრიგებულ, თითქოს გაკრული ხელით შესრულებულ ხელნაწერს. ეს შრიფტი დინამიკურია, მისი გრაფიკა მოითხოვს ნატიფ დახვეწილობას და შემსრულებლის მაღალ ოსტატობას.

შრიფტებს ახარისხებენ აგრეთვე სამ ჯგუფად: ***ვიწრო, ნორმული, განიერი.*** ვიწრო შრიფტში ასონიშნის თვალის სიგანე შეადგენს სიმაღლის 50% (ყოველ შემთხვევაში არ აღემატება 60%). ნორმული ეწოდება ისეთ შრიფტს, რომლის თვალის სიგანე შეადგენს სიმაღლის 70% (ეს შეფარდება მერყეობს 60%_80% ფარგლებში). განიერი შრიფტი კი იმით ხასიათდება, რომ მისი თვალი ასონიშნის სიმაღლის 80%-დან 100%-მდეც კი აღწევს.

არსებობენ კიდევ შრიფტის სახეობანი განსხვავებული იერით: ***ნათელი, ნახევრადმუქი და მუქი. ნათელი შრიფტის*** ასონიშნის შიდა ფართობი _ თვალი რამდენჯერმე მეტია ძირითადი ხაზის სისქეზე. იგი გამოიყენება ტექსტის ძირითად ასაწყობ შრიფტად. ***ნახევრადმუქ შრიფტში*** ძირითადი და შემაერთებელი შტრიხები შედარებით უფრო სქელია. ***მუქი*** კი ეწოდება ისეთ შრიფტს, რომლის ძირითადი და

შემაერთებელი შტრიხები კიდევ უფრო მეტადაა გასქელე-ბული, აქ ასონიშნის თვალი ძირითადი ხაზის სისქეზე უფრო მცირეა. ასეთი შრიფტები უმთავრესად გამოიყენება სათაურების ასაწყობად და ზოგიერთი სახის ნაბეჭდი პროდუქციის დასამზადებლად.

პოლიგრამები. ყოველი შრიფტი იძლევა შესაძლებლობას შესრულდეს ***პოლიგრამა,*** ანუ მოხაზულობით მონათესავე ასონიშნების ***თარგი,*** ის ***შაბლონი,*** რომლის მიხედვითაც იგება რამოდენიმე ასონიშანი. რადგანაც ანბანის ყველა ასონიშანში ძირითადი სქელი და შემაერთებელი თხელი ხაზები ზუსტად ერთნაირი ზომით მეორდება, თვალი (ბირთვი) ყველგან თანაბარია და სხვა მსგავსებებიც აღინიშნება, პოლიგრამები მნიშვნელოვნად აადვილებენ მთელი ანბანის აგებასა და აგების წესების შესწავლას. ***პოლიგრამების*** უპირატესობა მდგომარეობს აგების კანონზომიერებათა რაციონალური გამოყენების შესაძლებლობაში და მაღალი მხატვრული ღირებულების შრიფტის შექმნის მაქსიმალურ ხელშეწყობაში.

გრაფიკული ილუსტრაციები

დამწერლობები

მხატვრული შრიფტები

C
A
E₁
C₁
E
B
AE × EB

ГГГ УУУ СССС
ККК ННН ХХХХ
ЛЛЛ ЛЛ
ЖЖ ОК ТТ

OTA
LΛΛ
EEHH
ΗΙΙΙ
KK

ხმლისებური
დახრილი
გამოტანითი ელემენტები
დახრილი
კუდისმსგავსი
პოლიგრამები
თ. ფ. ვ. ე. დ. ლ. ი. ო.
И. Н. П. Ц.

ასომთავრული

ქართული უძველესი ასოხმოვანი დამწერლობა










ჰ_ეი
ლ_აი
ვ_აი
ჭ_ვარი
ნ_ხ (ხორხის)

მხედრული
ქართული თანამედროვე დამწერლობა







ფარნავაზ I

გიორგი გორდელაძე,
შრიფტი «ლათინური» და რუსული გრაფემები, 1966წ.



ლათინური შრიფტი. «ანტიკვა».
აგების პრინციპი.



გიორგი გორდელაძე, ქართული სასტამბო შრიფტი «ლიტერატურული», 1952წ.

გიორგი გორდელაძე, « თეატრი», 1974წ.

გიორგი გორდელაძე,
«მხატვრული საფიშო შრიფტი», 1973წ.



დიმიტრი გორდელაძე,
შრიფტი «გორდელაძე», ვარიანტი, 1979წ.

გიორგი გორდელაძე, «ვეფხისტყაოსანი», 1976წ.

დიმიტრი გორდელაძე,
შრიფტი «დეკორატიული», 1984წ.

გიორგი გორდელაძე,
შრიფტი «ერასტი», 1981წ.

გიორგი გორდელაძე,
შრიფტი «კობა», 1971წ.

გიორგი გორდელაძე,
შრიფტი «თეატრალური», 1987წ.

გიორგი გორდელაძე,
შრიფტი «თბილისი», 1988წ.

გიორგი გორდელაძე,
შრიფტი «პროექტი», 1976წ.

გიორგი გორდელაძე,
შრიფტი «სატიტულო, მუქი», 1985წ.

გიორგი გორდელაძე,
შრიფტი «სატიტულო ნათელი», 1985წ.

გიორგი გორდელაძე,
შრიფტი «სატიტულო, ვიწრო, ნუსხური», 1983წ.





გიორგი გორდელაძე,
შრიფტი «სატიტულო, ვიწრო, მთავრული», 1983წ.

გიორგი გორდელაძე,
შრიფტი «თამარი», 1981წ.

ગરીબોને ઉપર
ઉઠાવવાનું કામ
પણ કરવું જોઈએ
પણ કોઈ રીતે
કરવું જોઈએ ?
૧૭૦



გიორგი გორდელაძე,
შრიფტი «ხარაჩო», 1972წ.

ლიტერატურა:

1. გ.გორდელაძე. "მეთოდური მითითებანი ქართული შრიფტის შესასწავლად", თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, თბილისი, 1986წ.

2. გ.გორდელაძე. "მეთოდური მითითებანი ქართული შრიფტის შესასწავლად", თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, მეორე, გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 1991წ.

3. "გიორგი გორდელაძე, დიმიტრი გორდელაძე". სამხატვრო ალბომი, თბილისი, გამომცემლობა "ხელოვნება", 1987წ.

4. რ.პატარიძე. "ქართული ასომთავრული", თბილისი, გამომცემ-ლობა "ნაკადული", 1980წ.

5. ა.ჩიქობავა, ჯ.ვათეიშვილი. "პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები", თბილისი, გამომცემლობა "ხელოვნება", 1983წ.

6. "ქართული ხელნაწერები", რედაქტორი ვ.ბერიძე. თბილისი, გამომცემლობა "ხელოვნება", 1970წ.

7. პ.ინგოროყვა. "გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა", თბილისი, 1954წ.

8. ივ.ჯავახიშვილი. "ქართული პალეოგრაფია", თბილისი, 1949წ.

9. ÄGYPTISHE KUNST AUS DEN SAMMLUNGEN DES MUSEUMS IN KAIRO. ARTIA, PRAHA, 1962.

10. ДРЕВНИЙ ВОСТОК, Атлас по древней истории Египта, Передней Азии, Индии и Китая. Под редакцией Струве В. В. Ленинград, 1937 г .

11. ВСЕМИРНАЯ ИСТОРИЯ, т.I, Под редакцией Францева Ю.П. , Дьяконова И.М., Ильина Г.Ф., Киселёва С.В., Струве В.В. Москва, 1956 г.